

ეთნიკური იდენტობა და პოლიტიკური კონკურენცია

ნათია ცვარიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნათია ცვარიანი

06.07.2015

აბსტრაქტი

პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებების ფარგლებში არსებული არაერთი კვლევა ხაზს უსვამს იდენტობის მნიშვნელობას, რადგან პოლიტიკური კონკურენციის პროცესში ეთნიკური იდენტობის გავლენა საგრძნობლად დიდია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ ჯანსაღი დემოკრატიული პოლიტიკური კონკურენცია ამცირებს ეთნიკური დაპირისპირების ძალადობრივ ფორმებში გადასვლის ალბათობას. აღნიშნული საკითხის კვლევის ფარგლებში განხილულია ეთნიკური იდენტობის, დემოკრატიის ხარისხისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ურთიერთმიმართება. ნაშრომში წარმოდგენილ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია მეორადი წყაროების ანალიზი, კერძოდ, Desk Research ანალიზი.

კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ პოლიტიკური ელიტის მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებები ხელს უწყობს სახელმწიფოში დემოკრატიული პოლიტიკური კონკურენციის ზრდას, რაც ამცირებს ეთნიკური დაპირისპირების რისკს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობა, დემოკრატია, ეთნიკური ჯგუფი, ეთნიკური მობილიზაცია.

Abstract

In the scope of Political and Social Sciences within the existing research has been emphasized the importance of identity, the impact of ethnic identity in the process of political competition is significantly important.

The aim of the research is to prove that consolidated democratic political competition reduces the likelihood of transition of conflict into violent ethnic conflict. The research examines mentioned issue of ethnic identity, democracy and the quality of the relationship between political decisions. The secondary data analyses in particular desk research are used to answer the research question.

Based on the research, the correct decisions made by the political elite contribute the increase of democratic political competition, which reduces the risk of ethnic conflict.

Key words: Identity, Democracy, Ethnic Group, Ethnic mobilization.